საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 257 2024 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

ლ. ხუციშვილის საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დანიშვნის თაობაზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ლაშა ხუციშვილი.

ირაკლი კობახიძე

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1391 2024 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

გ. კაკაურიძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე -